# სახალხო გაზეთი

№ 977 კვირა, 25 აგვისტო 1913 წ. № 977

**განცხადების ფასი**: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა ,,შრომა''-ში, მუხრანის ქუჩა, და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ,,სახალხო გაზეთი''-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6.

ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული ,,სახალხო გაზეთი'' 190.

ტელეფონი № 12-29

**გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში 75 კ.**

**ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.**

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


ქ. შ. წ.-კ. გამავრც. საზოგადოების გამგეობა აცხადებს, რომ დიდებულის მწერლის

## ილია ჭავჭავაძის

ტრაღიკულად გარდაცვალების ექვსი წლის თავზე, ხუთშაბათს, **29 აგვისტოს**, მთაწმინდის ტაძარში, გადახდილ იქნება წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **პოეტის სულის მოსახსენებლად.**

წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, პანაშვიდი 12 საათზე.

30 აგვისტოს, პარასკევს, **პანაშვიდი წიწამურში**, იმ ადგილას, სადაც **ილია** ვერაგულად იქმნა მოკლული. 1450

---

**რძლები: დარია ლონგინოზის ასული წინამძღვარიშვილისა** (თავ. გურამიშვილის ასული) და **ალექსანდრა დიმიტრის ასული წინამძღვარიშვილისა** (თავ. ჯავახიშვილის ასული) იუწყებიან, რომ წლის წირვა და პანაშვიდი იმათი დედამთილისა

### მელანია დიმიტრის ასულის წინამძღვარ შვილისა

გადახდილ იქნება 27 აგვისტოს სოფ. წინამძღვარიანთ-კარში. 575

---

**ლევანი (ნოდარ)** და **გიორგი გაბრიელის ძენი წინამძღვარიშვილები, ანნა გაბრიელის ასული ციციშვილისა** და **ელისაბედ გაბრიელის ასული ყარანგოზიშვილისა** და სიძე **ნიკოლოზ გიორგის ძე ყარანგოზიშვილი** იუწყებიან, რომ 27 აგვისტოს გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დედისა

### მელანია დიმიტრის ასულის წინამძღვარიშვილისა

**(თავ. ტუსიშვილის ასულისა)**

სოფ. წინამძღვარიანთ კარში. წირვა დაიწყება 9 ნახ. საათზე; პანაშვიდი წირვის შემდეგ. 574.

---

სომხურ გაზ. „მშაკ"-ის **რედაქცია** გულითადის მწუხარებით იუწყება, რომ 22 ამა აგვისტოს, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა რედაქციის წევრი და გამომცემელი

### ივანე |ვანო| სერგეის ძე ტერ-მარკოსიანი.

პანაშვიდი 26 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. გასვენება 27 აგვისტოს, დილის 10 საათზე, თავის ბინიდან (ოლგას ქუჩა № 26), მოღნინის ეკლესიაში, დაკრძალვა ხოჯივანქის სასაფლაოზე, გრიგორ არწრუნის საფლავის გვერდით. 1441

---

**მარიამ ანდრიას ასული გლადკოვისა** და **ნიკოლოზ გრიგორის ძე გლადკოვი შვილებითურთ** დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ პირველი—საყვარელ მეუღლისა, მეორენი—ძმისა და ბიძის

### ივანე გრიგორის ძე გლადკოვის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზე, ელისაბედის ქ., სახ. № 167. ცხედარს სახლიდან გაასვენებენ სამშაბათს, 27 აგვისტოს, დილის 9 საათზე, დიდუბის ეკლესიაში. დაკრძალვა წმინდა ნინოს სასაფლაოზე. 577

---

განათლების საზოგადოების ქალთა

## სასწავლებელში

როგორც მოსამზადებელ განყოფილებებში, ისე პროგიმნაზიულ კლასებში განმეორებით გამოცდა და მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან. სწავლა—2 სექტემბრიდან.

აგრეთვე 1-ლ სექტემბრიდან განათლების საზოგადოებას სწის **სამხატვრო-სახელოსნო სასწავლებელს**, რომელშიაც მიიღებენ ქალაქის ორსამ კლასს დამთავრებულ ყმაწვილებს. წლიური ფასი 30 მან. დაწვრილებით ცნობების შეტყობა შეიძლება თვით სასწავლებელში (საკუთარი სახლი, სვიატოპოლკ-მირსკის ქუჩა, № 6) დილის 9 საათიდან პირველ საათამდე. 557

---

პირველ ენკენისთვიდან **იხსნება**

## საშუალო ქართული პირველ-დაწყებით სკოლა ქალებისათვის

კუკიაში: რეუტოვის ქუჩა, № 11.

ქალების მიღება დაიწყება დღეიდან. 560

---

## ლევანდოვსკის პროგიმნაზია

**სახაზინო ვაჟთა 6-კლას. პროგიმნაზ. უფლებით. ქალ.-ვაჟთა ერთად სწავლება.**

გუნიბის ქუჩა, № 10.

ახლად შესვლის მსურველთათვის გამოცდა მოხდება **2 და 3 სექტემბერს**, განმეორებით გამოცდა 4 სექტემბერს, გამოცდა დაიწყება დილის 9 საათ. პარაკლისი და სწავლის დაწყება 5 სექტემბერს 8-ნახ. საათზე. ყველა კომისიათა მასწავლებლების კრება მოხდება 1 სექტემბერს საღამოს 7 საათზე. თხოვნის მიღება და ცნობების მიცემა დაიწყება 8 აგვისტოს და მოხდება მხოლოდ არა უქმე დღეს დილის 10—12 ს. და საღამოს 5—8 ს. პროგიმნაზიაში შესვლის მსურველთა საბუთები შემოტანილ უნდა იქმნეს 30 აგვისტომდე. 548

---

## ციკლოდრომი

მიხეილის პროსპექტი, სახ. № 116.

**დღეს, 25 აგვისტოს,** მოხდება ჯერ არ ყოფილი

## დიდებული გარბენა

მონაწილეობას მიიღებენ ტფილისის საუკეთესო ველოსიპედისტები, **რათა გამოარკვიონ ძალები მომავალ ჩემპიონატისათვის.** დასასრულ სირბილი და **ჭიდაობა.** დასაწყისი საღამ. 5 საათზე. 573

---

## ტფ. ქართული ფილარმონიული საზოგადოების

## სამუსიკო სკოლა

ყორღანოვის ქუჩა, რჩეულიშვილის სახლი № 6.

**მოწაფეთა მიღება დაიწყება 26 აგვისტოდან** ყოველ დღე კვირა-უქმის გარდა, დილის 10 საათიდან 2 საათამდე და საღამ. 5—7 საათამდე, სკოლის კანცელარიაში. სპეციალურ საგნებზე მასწავლებელთა სია: ფორტეპიანო—**ბ. მ. ამირაჯიბისა, ო. მ. ბერგი-პივოვაროვისა, ნ. ვ. კალაშნიკოვისა, გ. მ. ქიქოძე, ე. ვ. ფოგელისა** და **თ. ს. შაბუროვისა.** სკრიპკაზე: **მ. ტ. ვასილიევი.** ვიოლონჩელი—**ე. ნ. კაპელნიცკი.** კონტრაბასი—**მ. ი. შერშოვი,** სიმღერა, solo (ხმის დაყენება და გავარჯიშება და ოპერების შესწავლა) **ნ. ნ. სოლოვიოვა-სტრახოვა** და **ე. ბროუნი.** ელემენტ. თეორია, სოლფეჯიო (ნოტების კითხვა) ჰარმონია და ენციკლოპედია—**ზაქ. პ. ფალიაშვილი,** ხოროს კლასსი—**ზ. ი. ჩხიკვაძე.** ახლად მოწვეულნი არიან მასწავლებლად: ფორტეპიანოზე **ე. ი. პოლტარაცკისა** და სკრიპკაზე, **ვ. მ. ბროდსკი.** სწავლის ფასი: ფორტეპიანოსი 65 მ. წელიწადში, სკრიპკა,—65 და 75 მან. ვიოლონჩელი 65 მ. კონტრაბასი 50 მ., სიმღერა (solo) 75 მ. თეორიის კლასებში 15 მ. წელიწადში.

სწავლის ფასი გადახდებათ ნახევარ წლობით წინდაწ. ნ. ხმების გასინჯვა საეკლესიო გუნდში შესასვლელად დანიშნულია ორშაბ. და ხუთშაბათ. საღ. 5—7 ს.

**პარაკლისი და სწავლის დაწყება დანიშ.** 1 სექტემ., შუადღ. $12^{1}/_{2}$ ს. 1429

---

**8 კლასიანი საკომერციო სასწავლებელი**

## ლ. ფ. პეტრაშევსკაისი.

მიხეილის პროს. № 170.

მთავრობის სასწავლებლებთან სწორ უფლებიანი, წარმოადგენს საშუალო სასწავლებელს, რომელშიაც მოწაფენი იღებენ კანონ ერ საშუალო განათლებას. სასწავლებლიდან მიცემულ ატესტატით აქვთ უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლება; ღირსეულნი დაჯილდოვებულნი იქნებიან ოქროსა და ვერცხლის მედლებით. 15 აგვისტოდან დაიწყება მიღება მოსამზადებელ, 1, 2, 3 და 4 კლასებში. გამოცდა 25 აგვისტოდან ყოველ დღე დილის 9 საათ. ნაშუადღ. 2 საათამდე. 563

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ქსენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლო.**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი **ექიმები-სპეციალისტები:**

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **მანსვეტაშვილი ვ. მ.** ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>**მალალაშვილი გ. გ.** სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1 ს.<br>**ფედოროვი ე. გ.** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>**ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა.** ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | **მარკევიჩი ვ. ლ.** კონსულტაცი ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$.<br>**მელიქიშვილი ნ. ა.** ყოველ დღე 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** ყოველ დღე 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** ყოველ დღე 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულ. | **ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—$1^{1}/_{2}$<br>**მიქელაძე შ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—1.<br>**ფედოროვი გ. ს.** ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | **ჯავახიშვილი ნ. ნ.** სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>**ფონდოევი გ. ს.** ყოველ დღე 1—. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | **ათენიანცი ნ. ა.** ყოველ დღე $12^{1}/_{2}$—$1^{1}/_{2}$.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** ყოველ დღე $^{1}/_{2}$—2. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** ორშაბათ. ოთხშ. და პარასკ. 2—$2^{1}/_{2}$. |
| კან. და ვენერ. ავ. | **დიასამიძე ა. ნ.** ყოველ დღე $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი საბაქტერიოლოგიო და საქიმიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. **Waserman.** რჩევისათვის 50 კ. საწოლი 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია, ,,606'' და ,,914'' **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა. შეღავათიანი საფასურით. წ. 1035

---

## ახალი წიგნის მაღაზია

**კ. ი. ოცხელისა**

ქუთაისში, ალექსანდრეს ქუჩაზე, ზ. კოკრაშვილის სახლში გაიხსნა

## უდიდესი წიგნის მაღაზია

**კონსტანტინე ივანეს ძის ოცხელისა.**

ახალ მაღაზიის შეძენილი აქვს მეტად მრავალი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი.

ახალ მაღაზიის სურს შუამავლობა გაუწიოს პროვინციის წიგნის მაღაზიებს, სასწავლებლებს და წიგნთსაცავებს, რომელთაც დაეთმობათ წიგნები, რაც შეიძლება, ფას-დაკლებით, ამას ყველა დარწმუნდება მაღაზიის პირდაპირი გაცნობით.

ახალი მაღაზია გახსნილია იქ, სადაც აქამდე მთავრიშვილის ყოფილი ამხანაგობის წიგნის მაღაზია არსებობდა; მის გვერდით გამართულია დ. ი. ოცხელის სპეციალური საკანცელარიო მაღაზია, სადაც მოიპოვება ყოველნაირი სასწავლო ნივთი ძლიერ იაფად. 1419

---

## ტფილისის ქართული გიმნაზიის

## დირექტორი

აცხადებს, რომ თანახმად გამგე-კომიტეტის დადგენილებისა, ამ წლის 1 ენკენისთვიდან ვაჟთა გიმნაზიაში და ქალთა სასწავლებელში სწავლის ფასად დაწესდა **მოსამზადებელს** კლასებში **ოთხი** თუმანი წლიურად, ნაცვლად სამის თუმნისა, და **საგიმნაზიო** კლასებში **ხუთი** თუმანი წლიურად, ნაცვლად ოთხის თუმნისა. მომავალის 1914 წ. 1 ენკენისთვიდან კი მე-V, მე-VI, მე-VII, მე-VIII კლასებში დაწესდება წლიურ გადასახადად **ექვსი** თუმანი. 1397.

---

**პირველ-ხარისხოვანი**

## დიდი ცირკი

## ძმ. ესიკოვსკებისა



მიხეილის პროსპექტ., მუშტაიდის შესავალთან, ნ. კუნდუხოვის ადგილზე, საკუთარი საზაფხულო გრილი სადგომი, ტრამვაი იქვე ჩერდება და შინ დაბრუნებისასაც მუშაობს.

**დღეს, 25 აგვისტოს, 1913 წ. გაიმართება**

## ორი დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა.

**დილით** ხელმისაწვდომ ფასებში დიდი, სადილად წარმოდგენა. პირველ-ხარისხოვანი მსახიობები მიიღებენ მონაწილეობას. დილით, ხალხის სურვილით, მონაწილეობას მიიღებენ: ფენომენი მუცლით მოლაპარაკე **ბ. ბროკარსი,** მისი აკტომატიური მანქანით, ცნობილი მასხარა **ბ. რობერტსი** გაწვრთნილი ცხოველებით და სხ. უფასოდ ხეირნობა ჯოხებით და პონებით. დასაწყისი 2-ნახევარ საათზე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი, არა-ჩვეულებრივად დიდი საუკეთესო-სადღესასწაულო** წარმოდგენა. მსოფლიოდ ცნობილ მსახიობთა გასტროლები! უკანასკნელი დღეები ტფილისში ყოფნისა გამოჩენილ ჰაერის მეჯლისე **4 ეშმაკთა,** რომელნიც დღეს საოცარ ნომერს შეასრულებენ. გამოსვლა: ცხენზე სალტო-მორტალეს მკეთებელი **ჟოზეფის** ჯირითი. მეზღაპურ-ჯამბაზების **ელა და კარპისა;** ხუმარა რობერტსის მისი უბადლო ვირითა და მათემატიკოს ძაღლით. გამოსვლა ცნობილ მუსიკოს-ექსცენტრიკების **ბ. ბროკარსისა,** რომელნიც შეასრულებენ ახალ მუსიკალურ ნომრებს. იტალიელ ჯამბაზთა ოჯახი **დელა კაზო,** რომელნიც შეასრულებენ ახალ ოინებს ზე-ამხოლ ფიცრით. უნდა ნახოთ, დაიჯეროთ! გამოსვლა მხიარულების შემქმნელების **ძმ. ვინჩენცოებისა.**

დირექცია სთხოვს მაყურებელთ, პროგრამის სიდიდის გამო ნუ გამოიხმობენ მსახიობებს ორჯერ მეტად კონტრამარკები არ გამოდგება.

**დ ა ს ა წ ყ ი ს ი საღამოს 8 ნახევ საათზე.**

დირექცია **ძმ. ესიკოვსკებისა.** 576. გამგე: **ლ. მ. ხუნდაძე.**

---

## განქორწინების საქმეებს ვაწარმოებ

ცოდნით, კეთილსინიდისიერად და დაწვრილებით, დარიგებას ვაძლევ, აგრეთვე შემდეგ საქმეების შესახებ: **შვილობილობისა და დაკანონებისა, პენსიისა, ერთდროულ დახმარებისა, საპატიო მოქალაქისა და აზნაურობის უპირატესობათა შუამდგომლობას,** ვადგენ სხვა და სხვა ხასიათის თხოვნებსა და საქმის ქაღალდებს, ვკისრულობ **საბეჭდავ მანქანით გადაწერას.** მიღება ყოველ დღე დილის 10-დან 2 ს.-დე და საღამოს 5-დან 7 ს.-დე.

ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახ. 118, პირველ სართულში. 1438

---

## სამკურნალო

**სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა**

გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად, ტელეფონი № 481.

ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.

**ბელანჟე.** ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., 10—$11^{1}/_{2}$ ს.

**ბოუტოვსკი.** ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.

**ერმოლაევი**—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.

**ვორობიოვი**—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა. სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.

**გ. ნ. გეინაცი**—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.

**თბუაშვილი**—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ექ. ქალ. იოსელიანი.** ქალური სნეულ. ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.

**კალამკაროვი.** ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.

**ლიმონი.** კბილ. ექიმი. ყ.-დღე 11—1 ს.

**ხანდანოვი.** ვენერიულ, კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.

**ახვლედიანი.** შინაგანი სნეულ. ბავშვებისა, ყოვ.-დღე 2—3 ს.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.

**ა. ა ხოდნევი**—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.

**ი. ბ. ჩუდნოვსკი.** ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-თერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^{1}/_{2}$—$12^{1}/_{2}$ საათ.

**შამაში,** სადოსტაქრო; ყ. დღ., 1—3 ს.

**ვატენიანცი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 3—$3^{1}/_{2}$ ს.

**ატენაკაცი.** ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.

**ასაისოვი**—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად. ყ.-დღე 1—3 ს.

**გრიგორიანი.** ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნ.ხ. საათ.

**სათვალეების არჩევა.**

კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserman"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან-ავადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ბ. ა. მოპოვი.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კლდიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა ,,606''-ით** 1035

---

## ექიმი ი. ი. ბარიშვილი

სწამლობს **საშარდე** ორგანოთა, **ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნი ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

---

**ელექტრონის და რენტგენის**

**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1028

---

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.** იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 12. **იქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 546

მყიდველთა საყურადღებოდ!
ახალი მოდის სამანუფაქტურო მაღაზიაში პ'ებით ამხანაგობის
„ს. მ. კირაკოზოვისა და გ. გ. ოგანოვისა“
მიხეილის პროსპექტი, ნემეცების ეკლესიის პირდაპირ.
☛ ამა წლის 26 აგვისტოდან დანიშნულია ☚
დიდი იაფ-ფასიანი ვაჭრობა
ყველა იმ საქონლისა, რომელიც მაღაზიაში იმყოფება. ⧗ ფასები დანიშნულია გადაჭრით. 1439.

## რედაქციისაგან

„განთიადი“ განაგრძობს პროტესტების ბეჭვდას ილია ჭავჭავაძის სახელის გარშემო ატეხილ კამათის გამო. ჩვენ მოვსპეთ კამათი ზემოხსენებულ რედაქციასთან იმ იმედით, რომ „განთიადი“ გონს მოვიდოდა და ტანჯული პოეტის სახელის გარშემო ატეხილ კამათს ბოლოს მოუღებდა. მიუხედავად ამისა „განთიადი“ განაგრძობს პროტესტების ბეჭვდას, ალბათ, იმიტომ, რომ ამ საშუალებათა ჰსურს აღადგინოს გახუნებული პრესტიჟი. „განთიადი“-ს უთავბოლო ვაკხანალიას, როგორც ეტყობა, მუშებიც გამოუყვანია მოთმინებიდან. ჩვენს რედაქციას მოსდის მუშათა პროტესტები პროტესტების წინააღმდეგ. მოგვივიდა, მაგალითად, პროტესტი **ტფილისის ტრამვაის მუშების ნაწილისა** (კონდუქტორებისა და ვატმანებისა; ხელს აწერს 8 კაცი; მოგვივიდა პროტესტი **„კახეთი“-ს საზოგადოების მუშებისა,** (ხელს აწერს 68 მუშა); **ქართველ მკერვალთა მუშებისა,** (ხელს აწერს 8 კაცი); **ტფილისის სადგურზე მოსამსახურე ნოქრებისა,** (ხელს აწერს რვა კაცი); **სტამბის მუშებისა,** (ხელს აწერს რვა კაცი) და სხვა.

ჩვენ გვესმის სულიერი განწყობილება ზემოხსენებულ მუშებისა, გვესმის, რომ ყოვლად დინჯი ადამიანიც კი შეიძლება მოთმინებიდან გამოიყვანოს უსირცხვილო კამპანიამ; გვესმის, რომ შეგნებულ მუშებს უნდათ თავიანთი ხმა მიაწოდონ საზოგადოებას და აგრძნობინონ, რომ მუშებშიაც არიან ისეთები, რომელთაც აღშფოთებს გაბიაბრუება და ტალახში ამოსვრა ჩვენი დიდებული მოამაგისა, რომელსაც საფლავშიაც არ აძლევენ მოსვენებას.

გვესმის, მაგრამ ერთხელ მიღებულ ჩვეულებისამებრ, ამ პროტესტებს არა ვბეჭდავთ. დარწმუნებული იყვნენ ის მუშები, რომლებმაც პროტესტების წინააღმდეგ პროტესტები გამოგზავნეს, რომ „განთიადი“-ს მიერ ატეხილი კამპანია ილიას წინააღმდეგ საპნის ბურთსავით გაჰქრება და თვით ილია კი მაინც უმწიკვლო დარჩება შთამომავლობის წინაშე.

ბნელი საქმე საბოლოვოდ ვერ გაიმარჯვებს; ამ იმედით ვიყოთ და განვაგრძოთ ჩვენი საქმე.

## სომხური პრესა

„სახალხო გაზეთი“ და სომხები“, ამ სათაურით ერთ მეთაურ წერილს ვკითხულობთ სომხურ გაზ. „კოვკასი ლრაბერში“, რომელიც შემდეგს ამბობს:

„ვინ არ იცის, რომ ქართული პრესა, მცირე გამონაკლისით იმყოფება ქართველ თავად-აზნაურობის და მის კლასიურ იდეოლოგების ხელში...

და აი ფეოდალური პრესა, რომელსაც ფედერალიზმის ნიღაბის ქვეშ დამალული აქვს თვისი ნამდვილი სახე, სარგებლობს თანამედროვე მომენტით და გამოდის როგორც ქართველ ხალხის, საზოგადო აზრის გამომხატველი; იგი ცდილობს თვის ვიწრო კლასიურ ინტერესებს მისცეს ეროვნულ მოთხოვნილებათა ხასიათი.

ამ გვარ პუბლიცისტებს ყველზე დასღუპიათ ის გარემოება, რომ სომხის ინტელიგენციამ და დემოკრატიამ იცნო მათი ფიზიონომია, შეიგნო, თუ ვინაა ნამდვილი ქართველი ხალხი და სად უნდა განმტკიცდეს ერთა სოლიდარობის კავშირი; ესენი ხშირად გამოილაშქრებენ ხოლმე სომეხთა წინააღმდეგ შოვინისტურ მძულვარების ქადაგებით. დღესაც „სახალხო გაზეთი“ სარგებლობს ამგვარი მიზნისათვის სიღნაღში გამომცხვარის ერთ ერთი კორესპონდენციით.

რაშია საქმე? სიღნაღში არსებობს საქალაქო თვითმმართველობა. ეს თვითმმართველობა სომხების ხელშია. რისთვის? ვინ არ იცის, რომ აწინდელი საქალაქო არჩევნები ცენზიანია. ეს ჩვენის ცხოვრების ერთი სენთაგანია. სიღნაღის სომხები, როგორც ნივთიერად უფრო ძლიერნი უეჭველია გაიმარჯვებენ საქალაქო არჩევნებში. ეს თუმცა სასურველი არ არის, მაგრამ ფრიად ბუნებრივია. ხდება სრულიად კლასიური ბრძოლა. სომხის ბურჟუაზიას ჰსურს თვის ხელში შეინარჩუნოს საქალაქო თვითმმართველობა. ამის წინააღმდეგ უნდა იბრძოლოს აგრეთვე სომხის დემოკრატიამ. ეს საერთო საზოგადო საკითხია, რომელიც უნდა გადაწყვიტოს ადგილობრივმა დემოკრატიამ განურჩევლად ეროვნებისა.

მაგრამ წელიწადზე მეტია, რაც სიღნაღში მოუკლათებიათ ფეოდალურ მისწრაფებით გამსჭვალულ რამოდენიმე პირს, რომელთაც „სახალხო გაზეთის“ ხელმძღვანელებთან ერთად, ამ კლასიური ბრძოლისათვის ეროვნული ელფერი მიუციათ და სომეხთა წინააღმდეგ მძულვარე გამოლაშქრება დაუწყიათ.

აქ ყველაზე უფრო დამახასიათებელი ისაა, რომ ეს გალაშქრება განსაკუთრებით გაძლიერდა იმ დროს, როდესაც მოხდა სახელმწიფო სათათბიროს უკანასკნელი არჩევნები, რომლის დროს სომხის ერის დემოკრატიული ნაწილი შეუერთდა ნამდვილ ქართველ ხალხს. ეს გალაშქრება დაიწყო აქ, „სახალხო გაზეთის“ და ამგვარ გაზეთების რედაქციებში და ახლა ამ გაზეთების დამქაშები თავიანთ სიძულვილს სომხებისადმი ავრცელებენ პროვინციებში, ხოლო „სახალხო გაზეთი“ იმას ხმას აძლევს და ტაშს უკრავს. მაგრამ სომხის და ქართველ ნამდვილ დემოკრატიას უკეთესად ესმის ამ გვარ ყვირილ-ჩხავილის ნამდვილი სარჩული. „სახალხო გაზეთის“ და იმის მაგვარ გაზეთების ქადაგება იოტისოდენა ზარალს ვერ მიაყენებს სომხის და ქართველ დემოკრატიის მჭიდრო დაახლოვებას“.

ჩვენ ჩვენის მხრით არას დავუმატებთ ახირებული გაზეთის მარგალიტებს. არცაა საჭირო რაიმე განმარტება. ჩემი შენ გითხარო—გული მიგიკალო, ამისთვისაა ნათქვამი. სხვა არა იყოს რა, მარტო ის რად ღირს, რომ ქართველი დემოკრატია სომხის დემოკრატიას შეუერთდაო სახელმწიფო არჩევნების დროს. თუ სოლოლაკელები დემოკრატები არიან, მაშინ აღარ ვიცით, ვინღაა არა დემოკრატი, ბურჟუაზია, ლიბერალი თუ სხვა? ან ეგებ ტფილისის სომხებში სრულებით აღარ არიან ბურჟუები? არ შეიძლება აგვიხსნას ეს ზემომოყვანილ მაღალ-ძაღალი სიტყვების შემთხზველმა?

## ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **ისიდორე რამიშვილი,** პირველ სახელმწიფო სათათბიროს წევრი, რომელიც ასტრახანში იყო გადასახლებული, სამშობლოში დაბრუნდა. მეფის მოადგილემ მას ნება დართო, სამუდამოდ სამშობლოში დარჩენს.

✦ **ფილოქსერასთან ბრძოლა.** საფილოქსერო დასების მუშაობა ბორჩალოს მაზრაში წელს 15 სექტემბერს დასრულდება. მთელი მუშაობა წელს ვერ დასრულდება და იქ მომავალ წელსაც გაგზავნიან საფილოქსერო დასებს.

✦ **საყინულეთა მოწყობის საქმის** მოღვაწეთა კრების მომწვევმა კომიტეტმა დაადგინა, ახლავ შეუდგეს სურსათ-სანოვაგის დამზადებას მოსკოვსა და პეტერბურგში გასაგზავნად საგანგებო ვაგონით—საყინულეთი, რომელიც ტფილისს 10 სექტემბერს ჩამოვა. მატარებელი სულ ოთხ ვაგონიანი იქნება. სურსათ-სანოვაგის დამზადება 1 სექტემბრისთვის უნდა დასრულდეს. ხარჯად საჭიროა 2,000 მანეთამდე, რომელ თანხასაც კომიტეტი ქალაქის გამგეობას სთხოვს სესხად.

✦ **სასმელ წყლის ძებნაში.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა, გამოიკვლიოს დუშეთის მაზრის სოფელ ჭოპორტთან მდებარე წყაროები. დღეს წყაროების გამოსაკვლევად ტფილისიდან საგანგებო კომისია უნდა წასულიყო, მაგრამ წყაროების გამოკვლევა რამდენიმე კვირით გადაიდო.

✦ **საბირჟო ცნობები.** 24 აგვისტოს ტფილისში შეთანხმება არ მომხდარა. პროცენტიან ქაღალდების ფასი შემდეგი იყო: ტფ. ქალაქის საკრედიტო საზოგადოების 5% ობლიგაციებისა: აფასებდნენ—84 მ. 90 კ., აძლევდნენ—84 მან. 45 კ., ტფ. სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—82 მ. 80 კ. აძლევდნენ—82 მან. 45 კ. და ქუთაისის სათავად-აზნაურო საადგილ-მამულო ბანკის 5% გირავნობის ფურცლებისა: აფასებდნენ—80 მ. 25 კ., აძლევდნენ — 79 მან. სახელმწიფო მომგებიან ბილეთების საკურსო ნორმა შემდეგი იყო: პირველ სესხის ბილეთებისა—489 მან. 50 კ., მეორისა—361 მან. 50 კ. და მესამისა—316 მან.

✦ რედაქციამ მიიღო აკაკის „ჩემი ნაწერების“ მეორე წიგნი, გამოცემა „იმერეთისა“ ი. მანსვეტაშვილის საფასით. წიგნი საშუალო ფორმატისაა, შეიცავს 256 გვერდს და ღირს 75 კაპ.

✦ **ტფ. ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 22 აგვისტოს შეამოწმა ის ახალგაზრდანი, რომელნიც შარშან იყვნენ გაწვეულნი სამხედრო ბეგარაში და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ. საკრებულომ სამხედრო სამსახურში ერთი ახალგაზრდა ჩარიცხა.

წელს ჯარში გაწვეულთ გაზომვის გარდა ასწონიან კიდეც, თანახმად ახალ კანონისა. ამის გამო ქალაქის სამხედრო საკრებულომ შესაფერი სასწორი შეიძინა.

✦ **შიოევისეულ შენობაში** ორშაბათიდან დღითაც და ღამითაც იქნება მუშაობა.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ პარასკევს, 25 აგვისტოს, **ტფ. სტამბებისა, ლიტოგრაფიისა და წიგნის-მკაზმავთა** სახელოსნოების საზოგადო კრების მიერ ამორჩეულმა კომისიამ, რომელსაც მინდობილი ჰქონდა წესდების შემუშავება, მომავალ პროფესიონალურ კავშირის დასაარსებლად, განაგრძო წესდების პროექტის შემუშავება. წესდების შემუშავება კომისიამ უკვე დამთავრა და გადასცემს დამფუძნებელ კომისიას, რომელმაც გუბერნატორს დასამტკიცებლად უნდა წარუდგინოს.

✦ **კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა კრება** ტფილისში მოხდება მომავალ ოქტომბრის პირველ რიცხვებში.

### სასწავლებლებში

✦ **ქალაქის პირველ-დაწყებით სკოლებში** შესვლის მსურველთა რიცხვი წელს მეტად ბევრია, ვაკანსია მცირეა. სკოლის გარეშე მთხოვნელთა 80% დარჩება.

### ქუთაისი

✦ 23 აგვისტოს აკადემიკოსი ნ. მარრი სვანეთიდან ქუთაისს მოვიდა.

✦ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორმა შავი ქვის მრეწველთა საბჭოს აცნობა, რომ ოლქის მზრუნველმა ოფიციალურად ნება დართო გაიხსნას ჭიათურაში 1 სექტემბრიდან საბჭოს ხარჯით პირველ-დაწყებითი ქალთა უმაღლესი სასწავლებელი.

✦ 26 აგვისტოს ტუსაღი ტერენტი დგებუაძე იგზავნება არლოვის (შიდა რუსეთი) საკატორღო ციხეში სასჯელის მოსახდელად.

✦ 23 აგვისტოს საგუბერნიო ციხეში, როდესაც პატიმარნი სასეირნოდ გამოყავდათ ერთმა პატიმარმა მოინდომა მეკარისათვის რევოლვერის წართმევა. მეკარეს თითონ ესვრია რევოლვერი მოძალესათვის. ტყვია შემთხვევით სხვა პატიმარს ტოლონიძეს მოხვედრია, რომელიც სასიკვდილოდ დაჭრილა.

✦ დიმის წვრილი კრედიტის ამხანაგობას განუზრახავს ათი ათასი მანეთის სიმინდი, ხორბალი და თივა შეიძინოს და მოსალოდნელი შიმშილის დროს მცხოვრებლებს მიაწოდოს იმ ფასად, რაც თითონ ამხანაგობას დაუჯდება. შეძენილი ჭირნახულის შესანახად ამხანაგობა აპირობს ბეღლის აშენებას.

### ჭიათურა

✦ დაიწვა ანდრო სარჯველაძის შავი-ქვის სარეცხი ქარხანა.

✦ შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს ინჟინერს ბ. ირაკლი ბურჯანაძეს და ტეხნიკოსს გიორგობიანს განზრახვა აქვთ მრეწველთა საბჭოს გზები გადასცენ მუშების არტელს; მაგრამ ეს ადრე შეუტყვეს დღიურმა მუშებმა და ზომები მიიღეს ხელი შეუშალონ არტელის შედგენას.

### სოფლად.

✦ **ს. ოდიში** ისიმინდის ქვეყანაა და რაც უნდა გვალვა იყოს, არის ადგილები, სადაც გლეხი სამყოფ სარჩოს მოიყვანს. მიზეზი ნიადაგის სხვა და სხვაობაა. წელსაც ამ საშინელი გვალვების დროს ზოგიერთ ადგილას ჯერ არ ყოფილა მოსავალი, უმეტეს ნაწილად ოდიშში მოსავალი ისე ძალიან არ გაფუჭებულა, მხოლოდ რამდენიმე ალაგას არის სიმიდი დაზიანებული. ზოგიერთ ადგილებში შიმშილობა არ იქნება, მხოლოდ იმდენი არსად არ მოვა, რომ გაყიდონ.

✦ **სოფ. რგუნა** (ოკრიბა). ისედაც დაღარიბებულ სოფელს უწვიმობის გამო შიმშილი მოელის, გვალვამ ყველაფერი იმსხვერპლა. სოფელი აუტანელ მდგომარეობაშია ჩავარდნილი, აღარ იციან რით გამოიკვებონ თავი. ზოგიერთთ შარშანდელი სარჩო უკვე 4—6 თვის წინად დალია და ეხლა კიდევ მთელი წელიწადი საყიდელი აქვს ჭირნახული.

✦ **შორაპნის მაზრა.** შიმშილობა თითქმის მთელ შორაპნის მაზრის მცხოვრებთ მოელის. ხუთ საბოქაულოში: საჩხერისაში, ჭიათურისაში, ზესტაფონსაში, ხარაგაულისაში და ჩხარისაში შიმშილობა აუცილებელია. ხუთივე საბოქაულოში რამდენიმე მთის სოფელს თუ იპოვით, სადაც ნათესი არ გადამხმარიყოს, თორემ დანარჩენ ადგილებში ყანები და ვენახები ერთიანად გადამხმარია: ბევრ ადგილას სიმინდის მოჭრას შეუდგნენ.

✦ **ს. ბაში** (ქუთ. მაზ.) გვალვამ აქაც უწია და მომავალი შიმშილი აუცილებელია. ზოგიერთმა ალაგ-ალაგ მორწყო თავისი ყანა, მაგრამ უმჯობესი იყო არ მოერწყა, ვინაიდან მორწყვამ მეორე უბედურება მოიტანა. ღელეები დაშრა და თევზი, ლორჯო, კიბო და სხვა დაიხოცა და აყროლდა. სიმყრალით ჰაერი მოიწამლა და საძაგელი სუნი დგას. ამყრალებულია მთელი სოფელი და გავლა შეუძლებელია. ვისიც ჯერ არს თუ ყურადღება არ მიაქცია, მოსალოდნელია ავადმყოფობა გაჩნდეს. ციებ-ცხელებამ ახლავე იჩინა თავი.

## დღიური

### დუმილის ღირებულება

პროტესტანტები არ სცხრებიან. სიმხნით და გატაცებით, რომელიც უკეთესი საქმის ღირსია, განაგრძობენ ერთფეროვან და უშინაარსო, ძალზე უგულო და ტლანქად შეთხზულ, ხოლო მრავალ უმსგავსო სიტყვით შეზავებული პროტესტების წერას. მათი მესვეურები კიდევ უფრო ცხარობენ; დღე არ გავა, რომ იმავე საგანს არ დაუბრუნდნენ ახალ-ახალის სათაურით, ახალ-ახალის შექეზებით და მოწოდებით; წამ და უწუმ ამაღლებულის ხმით იმეორებენ: თუ ბრძოლაა, იყოს ბრძოლაო!

რას ებრძვიან? რას უცხადებენ პროტესტს? რას ესწრაფიან, რა უნდათ განახორციელონ ატეხილ აურზაურით?

ამას წინად პატარა წერილი დავწერე, გულწრფელად—არა რაიმე გარეშე მოსაზრებით, არამედ კეთილის განზრახვით, მიუდგომლად მივმართე ყველას და განსაკუთრებით იმათ, ვინც ასე უალაგოდ ალაგას აფრიალა საპროტესტო ბაირაღი, რომ იმ შესაზარ საისტორიო დანაშაულობის შემდეგ, რომელიც მიგვიძღვის განსვენებულის დიდებულის ადამიანის წინაშე, საუკეთესო იქნებოდა დუმილი და დუმილში შეგნება დიადი შეცოდებისა.

ჩემს გულახდილს მოწოდებას, წრფელს სიტყვებს დაცინვით მოეგებნენ, მასხარა და ფარისეველი მიწოდეს, თავისებური მუქარა შემომითვალეს და ვინ იცის, სად არ გამჩხირეს, ვისი და რისი გამომსახველად არ გამომიყვანეს. კარგად მესმის, რომ ახლა მეტს სახელსაც დავიმსახურებ და უფრო შემამკობენ, მაგარს სიტყვებს არ დაიშურებენ. მაგრამ რა ფასი აქვს ამგვარად ადამიანის დამცირებას? ეს მხოლოდ გაბოროტებული გულის მოსაფხანია და ვისაც რამდენიც უნდოდეს, გული მოიფხანოს და თუ ეს ოდნავად ვისმე ნერვებს დაუშვიდებს, დაიმშვიდოს. ჩემს პიროვნებას ამით ვერავინ შეეხება და წინანდებურად ვიტყვი გაცხარებულს, უზომოდ გაცხარებულს პროტესტანტებს: შეიგენით ღირებულება დუმილისა! რომ არის ჟამი, როდესაც ადამიანი ვერავითარის საშუალებით ვერ გამოსთქვამს თავის სულის კვეთებას ისე, როგორც გაჩუმებით!

აქ არავისი მოტყუილების სურვილი არაა. არა მწადიან, ვინმე მაცდურ გზაზე გადავაგდო, არც ის განმიზრახავს, რომ ვისიმე გულითადს რწმენას უპატივცემულოდ მოვეპყრო. ვისაც აქვს თავისი საკუთარი რწმენა, თვითონ პატივსა სცემს მას, შეუმუშავებია სადი მთლიანი პიროვნება და წინ გარკვეული მიზანი დაუსახავს, უნდა სწამდეს ისიც, რომ სხვებსაც აქვთ პიროვნება, ძვირფასია რწმენა, პატივსაცემია და თავის აზრებს სავაჭროდ კი არ წარმოსთქვამენ, არამედ მიტომ, რომ ეს აზრი მათი სულის ხმაა, მათი გულის ძგერაა. განვიმეორებ ასე დაბეჯითებით, ღრმა შეგნებით, როგორც არ მითქვამს წინად: ილია მოვკალით ყველამ განურჩევლად მიმართულებისა, და მოვკალით მიტომ, რომ არ გაგვაჩნია აი ეს პატივისცემა ერთმანეთის აზრისა და რწმენისადმი; ილია რომ მოვკალით, ეს შეიძლება შემთხვევით, წუთიერი ყოფილიყო, მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ილიას მოკვლა აღმოცენებულია ჩვენი საერთო ეროვნულ ცხოვრების ღრმა ნიადაგზე, რომ ილიას მოკვლამ ნათლად გამოაშკარავა, რომ, მიუხედავად მრავალის კულტურულ თვისებისა, ჩვენში ღრმად და ფართოდაა ჩანერგილი განუვითარებლობა, ჩვენ მეტად ჩამორჩენილნი ვართ და ჩვენს საზოგადოებაში არ შემუშავებულა ჯერ ნამდვილი საზოგადოებრივი პირობები. ილია—ეს ძლიერი სახელოვანი მამულიშვილი—მოჰკლა ჩვენმა პიროვნების უარყოფამ. და ახლაც მისი მოსაგონებელ ახირებულ ლიტერატურულ ალაპების და საკურთხეველის დროსაც ყოველი წერილიდან, ყოველი სტრიქონიდან ცხადად გამოსჭვივის იგივე სრული უარყოფა პიროვნებისა. იძახიან: ძირს კერპები, ჩვენ არ გვინდა კერპებიო! ოღონდაც, კერპები რომ არავის უნდა, მაგრამ ვაი, რომ კერპებთან პიროვნებაც იმსხვრევა და ნაცვლად პიროვნებისა ხელში გაზეპირებული სიტყვები გვრჩება, ხშირად შეუგნებელი და შეუთვისებელი სიტყვები. პიროვნება გაჰქრა, პიროვნებას არავინ იხსენიებს, პატივს არავინ სცემს და თუ ვინმემ რამდენიმე მაღალი სიტყვა გაიზეპირა, კაციც ის არის და ქუდიც მას ხურავს.

პიროვნების უპატივცემლობა ჩვენი უკულტურობის შედეგია, რასაკვირველია, მაგრამ ამ გარემოებას დიდად შეუწყო ხელი ჩვენებურმა ცალმხრივად გაგებულმა პარტიულობამ. ადამიანობა წაიშალა და მისი ადგილი დაიკავა ვიწრო პარტიულობამ. იმას არავინ იკითხავს, როგორი ადამიანი ხართ, როგორი ზნეობრივი პიროვნება, საკმარისია, თუ თქვენ პარტიაში ჩაეწერეთ და მისი ათი მცნება გაიზეპირეთ; მაშინვე სხვა ადამიანი ხდებით, მაღალი, იდეალური, რომელიც თითქოს მოწყდით საერთო ისტორიულ-ეროვნულ ცხოვრებას. თუ ამ პარტიაში ირიცხებით, ყოვლად წმინდა, უმწიკლო, უანგარო, მეტად განვითარებული, კეთილშობილი ადამიანი ხართ თუ იმ პარტიაში ირიცხებით მაშინ ხომ ყოვლად უზნეო, დაცემული, გარყვნილი, ბოროტი და უნიჭო ხართ. უმეტეს შემთხვევაში აინტერესებთ თქვენი გარეგნული პარტიული გამოხატულობა და არა თქვენი შინაგანი სულიერობა, ის თუ რამდენად გარდაიქმნა თანახმად მოძღვრებისა თქვენი ზნეობრივი არსება...

ეს ღრმა თვისებაა ჩვენი დღევანდელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა. თუ დაუვიწყარის, ძვირფასის მიცვალებულის გარშემო ატეხილი ამბავი სამარცხვინოა მით, რომ იგი ჰფარავს, აფუჩეჩებს ნამდვილს ღირსეულს საგანს, აჩლუნგებს შეგნებას დანაშაულისას, იგი მრავალი მხრივ საყურადღებოა იმითაც, რომ ცხად ჰყოფს, ათასჯერ ცხად ჰყოფს ჩვენს დიდს უკულტურობას, რომელიც გამოიხატება ერთმანეთის უპატივცემულობასა, ერთმანეთის აზრის და რწმენის თრევასა და ფეხით თელვაში.

აი საგანი საზოგადოებრივ დაკვირვებისა. ამ სენის განკურნებაა ჩვენი ყველასი უდიდესი საქმე. გავამეფოთ ადამიანის და პიროვნების პატივისცემა და მაშინ არც ილიას მოვკლავთ და არც საჭირო იქნება დიდებული გვამის გარშემო აურ-ზაური. თქვენც, პროტესტანტებო, ამიტომ გირჩევდით კიდევ—დუმილს. რად ჰკარგავთ დროს და ძალას იმისთვის, რაც თვითონ შეგძაგდებათ მალე. დუმილი, დუმილი არა სამარისებური, არა, დუმილი შემოქმედი, შემოქმედი უკეთესის, ადამიანური ურთიერთობისა!..

სიტყვა.

## წმ. თამარ მეფის სახელობაზე ტაძრის აშენების შესახებ.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ბატონი „შინაური“ უსაყვედურებს ქართველ სამღვდელოებას და, კერძოდ, ეპისკოპოზს ანტონის, თუ რატომ არ ჰკისრულობენ თაოსნობას წმ. თამარ მეფის სამლოცველოს აგ

ბის საქმეშიო, და მას ეჭვი შეჰპარვია, ვითომც ხსენებულნი პირნი არ არიან დაინტერესებულნი ქართულ საეკლესიო საქმეებით, ან და შიშობენ, ვაი თუ ეს განზრახვა ვისმეს არ მოეწონოსო.

უნდა მოგახსენოთ, რომ ტფილისის სამღვდელოებაზე და, კერძოდ ეპ. ანტონზე არ ითქმის ასეთი საყვედური. მე კარგად ვიცი, თუ რა ღრმა და მხურვალე მოყვარულია თავის სამშობლოისა ეპ. ანტონი, თუ როგორ თავ-გამოდებულია იგი, ჰქონას ყოველივე ის, რაც კი ხელს შეუწყობს მამულის წინ-წაწევას, გაღონიერებას; მე თვითონ ჩემი ყურით მომისმენია იმისი აღმაფრთოვანებელი ეროვნული სიტყვები, წარმოთქმული სხვა და სხვა ადგილას. აგრედვე ვიცი, რომ ტფილისის სამღვდელოებაში მრავალნი არიან ისეთნი პირნი, როგორც მაგალითად, დეკანოზები კ. ცინცაძე და ა. თოთიბაძე, რომელთაც გულწრფელად და თავის კეთილდღეობისა და წარმატების დავიწყებამდე უყვართ ქართველი ერი და მზად არიან ემსახურონ მას. და ნუ თუ ამისთანა ადამიანების შესახებ უნდა სთქვან, რომ ისინი შიშობენო ითავონ საქმე წმ. თამარის სახელობაზე ეკლესიის აშენებისა?

და რაა აქ საშიში? ვის უნდა ეწყინოს ეს საქმე? მთავრობას?—სრულიადაც არა. მე არავითარი ეჭვი არა მაქვს იმაში, რომ არც სასულიერო და არც საერო მთავრობა ამისი წინაალმდეგი არ იქნება. პირ-იქით, ძალიან სასიამოვნოდაც დაურჩებათ. ნეტავი ქართველები ეკლესიისადმი ხალისს გამოიჩენდნენ, და თუნდაც მთელ გოლოვინის პროსპექტზე ტაძრები ჩაამწკრივონ!

თამარ მეფე ხომ თვით სინოდმა წმინდანად აღიარა, და განა იკადრებს იგი აღკრძალვას ეკლესიის აგებისას იმის სახელობაზე?

მე დარწმუნებული ვარ, ეპ. ანტონი და დეკანოზები თოთიბაძე და ცინცაძე ახლავე შეუდგებიან საქმეს. მხოლოდ ისინი შიშობენ, ვაი თუ ქართველებმა ბოლომდე ვერ მიიყვანონ დაწყებული საქმე, ვერ გაიღონ საკმაო ფული. ამ ტაძრის აშენება უკანასკნელი ას ორმოც-და-ათი ათასს მანეთს (150,000 მ.) მოითხოვს, და შესძლებს ქართველობა ამდენი ფულის გადადებას? აი ამაში ეჭირვება ეპ. ანტონის გამხნევება. დააჯერეთ იგი, რომ საკმაო ფული მოგროვდება, და ისიც თამამად იშუამდგომლებს ეგზარხოსის წინაშე.

ამ ჟამად მე გადმიდვია ამ საქმისათვის ასი მანეთი; ხოლო როცა ჩემი ქონებრივი მდგომარეობა გაუმჯობესდება, მეტსაც მივაწვდენ ეპ. ანტონის ამ საქმისთვის.

იქნება ვინმემ სთქვას, რატომ თვით ეპ. დავითი არ დაიწყებს საქმესო. არც ეპ. ლეონიდს, არც მე, და არც სხვას არ შეუძლიან ოფიციალურად იშუამდგომლოს, რადგან ეკლესია უნდა აშენდეს ტფილისში, და ჩვენ კი ქართლ-კახეთის ეპარქიას არ ვეკუთვნით,

ეპისკოპოსი დავითი.

# სამღვდელოების კრება

ამ დღეებში ქ. დუშეთში მოხდა მთელი მაზრის სამღვდელოების დელეგატთა კრება მეორე ოლქის ბლაღოჩინის სვიმონ ტყემალაძის თავმჯდომარეობით. კრებამ მოისმინა მოწერილობა ტფ. საეპარქიო სანთლის ქარხნისა დუშეთის სახსანთლის საწყობის გამგის არჩევის შესახებ. გამგეს ბედ 400 მან. უნდა წარედგინა და ორი თავდები ჰყოლოდა საადგილ-მამულო ცენზით. კრებაზე ცხარე კამათი აღიძრა. გამოთქმულ იყო ის აზრი, რომ დღეს სოფლის ეკლესიების ნივთიერ მდგომარეობის გაუმჯობესების ერთ-ერთ უმთავრეს წყაროს შეადგენს სანთლის ვაჭრობა, ასე რომ, საწყობის დაუხმარებლად რომ დაიწყონ ვაჭრობა სოფლის ეკლესიებმა, მოგება ერთიორად ექნებათ, როგორც ეკლესიებს ისე თვით სანთლის ქარხანასაც. ხალხისათვისაც შეღავათი იქნება, რადგან ეკლესია თვის ხარჯებს თვითონ ადვილად გაისტუმრებს მაშინ და სანთლის ქარხანაც განთავისუფლდება ამ საწყობის შესანახ ხარჯებისაგან (წლიურად 600 მანათისაგან), რომელსაც მაშინ იგი მოახმარებს უფრო სხვა საჭირო საქმეს. კრებამ დიდი ხნის თათბირის შემდეგ დაადგინა: დახურულ იქმნას დუშეთის სანთლის საწყობი და ყველა ეკლესიებმა თითონ გამოიწეროს სანთელი ტფილისის საეპარქიო სანთლის ქარხნიდან და თავისუფლად ივაჭრონ დამოუკიდებლად დუშეთის საწყობისა. კრებამ ერთხმად დაავალა თავმჯდომარეს მ. ტყემალაძეს, რათა ეს დადგენილება წარდგენილ იქმნეს სანთლის ქარხნის გამგეობაში, რომელმაც თავის მხრივ დაუყოვნებლივ უნდა წარადგინოს უმაღლეს სასულიერო მთავრობასთან დასამტკიცებლად.

შემდეგ კრებამ მოისმინა საკითხი სამრევლოების წესიერად გათანასწორებისა. საქმის ვითარება შემდეგია: სამრევლოები გათანასწორებულ იქმნა ამ ნახევარ საუკუნის წინად. ამ დროს განმავლობაში სურათი სამრევლოების დანაწილებისა ისე ძლიერ იცვლება, რომ დღეს მაგალითად სოფ. ბოდორნის გლეხს ქრისტიანულ წესის მოსახდელად თვის მოძღვართან უხდება ასვლა სოფ. საკრამულოში, რომელიც დაშორებულია ბოდორნოზე 7 ვერსის მანძილით. მაშინ როდესაც მას ბულაჩაურის სამრავლო გვერდზე აკრავს. თვით ბულაჩაურის სამრევლო ერთ უღარიბეს სამრევლოთაგანია. საკრამულოს სამრევლო კი შეძლებულ და მრავალრიცხოვანია. ასე რომ სოფ. ბოდორნო რომ მიეწეროს ბულაჩაურს, ხალხს მოძღვარიც ახლო ეყოლება და თვით ბულაჩაურელებსაც მათი დახმარებით მოძღვრის შენახვა გაუადვილდებათ. ესეთი მაგალითები ბევრია, არამც თუ ამ მაზრაში, არამედ მთელ საექსარხოსოში. კრებამაც ამისათვის ამ უწესრიგობის მოსასპობად დიდი ხნის თათბირის შემდეგ დაადგინა: დაევალოს ადგილობრივ ბლაღოჩინს მ. სვიმონ ტყემალაძეს აღძრას შუამდგომლობა საქართველოს ექსარხოსის წინაშე, რომ ხელმეორედ მოხდეს მრევლთა დანაწილება-დაყოფა, სადაც კი ეს შესაძლებელი და მოსახერხებელი იქმნება.

# მუშათა ცხოვრება

ბაქო.

✦ „პოლიაკი და ამხ." საქრეწველოს მუშები და ადმინისტრაცია შეთანხმდა. მუშებმა გადასწყვიტეს ახალ პირობებში განაგრძონ მუშაობა.

✦ მუშაობას შეუდგნენ „ძის მთხრელი ამხანაგობა"-ს ქარხნის მომუშავენი, აგრედვე მუშაობა დაიწყო „მანთაშევის" სამრეწველოს 267 მუშამ და შავი ქალაქის მისივე სამრეწველოს, 95 მუშამ. მათი მოთხოვნილებათა ნაწილი დაკმაყოფილებული იქნა.

პეტერბურგი.

✦ დამცველ განყოფილების ერთმა მოხელეთაგანმა განუცხადა ლითონის მომუშავეთა კავშირის გამგეობის მდივანს, კავშირი დაიკეტებაო. ამის გამო სათათბიროს წევრმა ბადაევმა შინაგან საქმეთა მინისტრი ინახულა. დეპუტატმა მინისტრს აუწყა, რომ კავშირს ამ ბოლო დროს უკანონოდ სდევნიან, კავშირს ნება არ მისცეს გაემართა ლექცია დაზღვევის შესახებ, არ მისცეს ნება გაემართა საერთო კრება, შემდეგ გამართულ კრებაზე პოლიციის წარმომადგენელმა იმის ლაპარაკის ნებაც, არ მისცა, რაც შეტანილი იყო კრების ოფიციალურ წეს-რიგში. დეპუტატმა უამბო მინისტრს, რომ უმიზეზოდ დაპატიმრებული იყვნენ კავშირის გამგეობის წევრები, ზოგიერთი განთავისუფლების შემდეგ ხელმეორედ დააპატიმრეს. დეპუტატმა მოიხსენია დამცველ განყოფილების მოხელის მუქარა, კავშირი დაიხურებაო და განმარტა, რომ ასეთი მოქცევა უკანონო იქნება, რადგანაც 1906 წ. 4 მარტის საზოგადოებათა და ორგანიზაციათა კანონის აზრით საზოგადოება იხურება სამი გაფრთხილების შემდეგ. მინისტრმა დეპუტატს განუცხადა, რომ პეტერბურგში ეხლა-ხან დაბრუნების გამო მან ლითონის მომუშავეთა საზოგადოების შესახებ არაფერი არ იცის. მინისტრი დაჰპირდა საქმის გამოძიებას და საქმის დასაჩქარებლად პოლიციის დეპარტამენტის დირექტორს ბელეცკის ტელეფონით განკარგულება გადასცა, დღესვე მიიღე დეპუტატი ბადაევიო. დეპარტამენტის დირექტორმაც საქმის უცოდინარობა აღიარა, რადგანაც ისიც ეხლახან დაბრუნებულა პეტერბურგს და მანაც საქმის დაჩქარება აღუთქვა.

✦ სამანუფაქტურო დაწესებულებებში მოსამსახურე-ნოქართა კრება გაიმართა. კრებას 400 კაცი დაესწრო. კრებამ მოისმინა მოხსენება სრულიად რუსეთის ნოქართა მეოთხე კრების შესახებ. მოხსენების დროს პოლიციის წარმომადგენელმა ორჯერ შენიშვნა გაუკეთა მომხსენებელს.

✦ 17 აგვისტოს ბატიუშკოვმა „სინათლის და ცოდნის საზოგადოებაში" ლექცია წაიკითხა ვ. კოროლენკოს შესახებ. ლექციას 300 კაცი დაესწრო განსაკუთრებით მუშები. ლექციის გათავების შემდეგ ლექტორი მსმენელებმა ტაშის ცემით დააჯილდოვეს. ახლო მომავალში მოხდება კრება ბეჭვდითი ნაწერმოემთა მომუშავეების კავშირისა. კრება მოისმენს მოხსენებას გამგეობის მოქმედების შესახებ. კავშირის წევრად ჩაწერილა 4 ათასი მუშა (25 კაცი გამოურიცხავთ ფულის გადაუხდელობის გამო).

* * *

და, მოიცვას სული სევდამ და მწუხარებამ,
მე ეკლის გზა მაქვს გასავლელად განმარტოებულს;
ვერ მოგასმინოთ ჩემმა ბაგემ სამხიარულო,
როს ჰხედავს თვალი მამულს რღვეულს და დაობლებულს.

რა არის ჩემთვის სიხარული, როს დედა სტირის
და დათალხულსა წამით შვება არ ეკარება?
რა არის ჩემთვის ალტაცება, როს თვით დაჰრილვარ
და ჩემს საუნჯეს უკუნეთი ზედ ეფარება?

თუმც ხან ჩემს სულსა ტკბილი ჰანგი მოჰნატრებია,
მაგრამ სურვილი მსწრაფლ ჩაუკლავს უფრო დიდ ნაღველს
და უთქვამს ჩემთვის ჩემსავ სულსა: არ მემღერება
მე, ივერიელს, მშობელ ქვეყნის ამ დღეში მნახველს.

და ბევრჯელ, ბევრჯელ გულის კვნესა აღმომხდენია
და იგი კვნესა ხალხს სიმღერად მიმოჰფენია;
და ბევრჯელ, ბევრჯელ სისხლის ცრემლი გადმომდენია
და იგი ცრემლი სხვას მალამოდ აღმოსჩენია!

ა. შანშიაშვილი.

მოსკოვი

✦ 18 აგვისტოს საპოლიტეხნიკო მუზეუმის დიდ აუდიტორიაში მუშათათვის ლექციების კითხვა დაიწყო. დაესწრო მოსკოვის ქალაქის უფროსი ადრიანოვი, ოლქის მზრუნველი ტიხომიროვი, ქარხნების დირექტორები და ქარხნების მომუშავეთა წარმომადგენელნი და მრ. სხ. მოპატიჟებული პირნი. თავმჯდომარემ, ეპისკოპოსმა ანასტასიმ პარაკლისი გადიხადა. პროხოროვის მანუფაქტურის მუშების გუნდმა და ორკესტრმა შეასრულა ეროვნული ჰიმნი. წელს ლექციების კითხვა გაიმართება 17 აუდიტორიაში. მუშებს წიგნაკები დაურიგეს.

✦ გაფიცვებმა თან და თან იკლო. სტამბაში მომუშავეთა გაფიცვა, როგორც ეს მბეჭდავთა პროფესიონალურ კავშირის კრებაზე გაირკვა, ყველგან გათავებულა, გარდა კუშნეროვის სტამბისა, სადაც გაფიცვა 40 დღე გრძელდება. ალექსეევის საფეიქროს 1300 მუშამ მუშაობა დაიწყო. სხვათა შორის აქაც, როგორც მიხაილოვის ქარხანაშიაც, არც ერთი მოთხოვნილება არ დაუკმაყოფილებიათ და მუშებმა ძველ პირობებში დაიწყეს მუშაობა. მექანიკურ სახელოსნოებშიაც მუშაობა თან და თან იწყება.

✦ 19 აგვისტოს გამოაცხადეს საპროტესტო გაფიცვა "ბარის" მექანიკურ ქარხნის 400 და ყოფილ ვესტინგარეზის ქარხნის 600 მუშამ. გაფიცვა გამოცხადებულია ლითონის მომუშავეთა საზოგადოების დახურვის გამო.

ადესა

✦ 22 აგვისტოს ნავთ-სადგურში გაიფიცა 500 დამტვირთველი მუშა, რომელთაც დატვირთვისთვის ქირის მომატება მოითხოვეს. 23 აგვისტოს მუშაობა ცოტ-ცოტად დაიწყო. რამდენიმე კაცი დაიჭირეს.

რიგა

✦ ნავთსადგურის გაფიცულ მუშების კრება მოხდა მოიჯარადრეთა წინადადების განსახილველად. მუშებმა მოთხოვნილება გაადიდეს. შეთანხმება არ მოხდა.

# მოწერილი ამბები

ს. დიდი ჯიხაიში. (ქვემო იმერეთი) წელს მთელი ზაფხულის განმავლობაში ს. დიდი-ჯიხაიშში და ახლო მდებარე სოფლებში წვიმა თითქმის სრულებით არ მოსულა. საშინელი გვალვა სდგას; მდინარეებში წყალი დაშრა და ამის გამო მოსავალი ძლიერ გაფუჭდა; სიმინდი უდროვოდ გაყვითლდა და გახმა; ასევე მოუვიდა სხვა ქირნახულსაც. მოსავალს ძლიერ ცუდი პირი უჩანს მთელ მხარეს საშინელი სიმშილობა მოელის. ამ გარემოებამ დააფიქრა აქაური საზოგადოება და შეუდგა საშუალებათა გამოძებნას, რომ შემდეგში მაინც თავიდან აიცილოს ბუნების სიმკაცრით გამოწვეული ცუდი მდგომარეობა. სამშაბათს, აგვისტოს 20-ს, ადგილობრივ მამასახლისის განკარგულებით, მოხდა საზოგადოების ყრილობა, რომლის საგანს შეადგენდა ს. დიდი-ჯიხაიშში სარწყავი წყალის მოწესრიგების საქმე. სარწყავი წყალი აქ კაი ხანია გამოყვანილია მდ. ცხენის წყალიდან, მაგრამ სხვა და სხვა მიზეზების გამო, თავის დანიშნულებას ვერ ასრულებს: მაშინ, როდესაც იმავე წყლით დ. ხონის მახლობელი სოფლები სავსებით სარგებლობენ, ს. დიდი-ჯიხაიში და მოსაზღვრე სოფლები ამას სრულებით მოკლებულნი არიან, რაც საკმაო წყალის უქონლობით და წყალის ადმინისტრაციის უგვანო ქცევით აიხსნება. მიიღო რა მხედველობაში ზემო ნახსენები მიზეზები, საზოგადოების ყრილობამ დაადგინა, სთხოვოს ბ-ნ ნ. ი. ნიკოლაძეს ამ საქმის ჯეროვნად მოწესრიგება. თავის მხრივ საზოგადოებამ აირჩია რამდენიმე ამ საქმეში დაინტერესებული პირი, რომელთაც დაავალა ყოველი დახმარება გაუწიოს ბ-ნ ნ. ნიკოლაძეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდეგში მაინც აიცდენს ეს მხარე ბუნების თვითნებობას.

ბარონ.

# რუსეთი

**სრულიად რუსეთის კრება სახალხო განათლების შესახებ.**

პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება 1913 წლის 23 დეკემბრისათვის პეტერბურგში იწვევს სრულიად რუსეთის კრებას სახალხო განათლების შესახებ, რომელიც უმთავრეს მიზნად ისახავს, რომ გამოარკვიოს სკოლების პროგრამა და სწავლის მეთოდები. ამ კრების წევრებად იქნება პირველ-დაწყებითი სასწავლებლის მასწავლებლები ყველა უწყებისა და სახელისა, გარდა სამრევლოსი. კრების რიგი ოთხი მუხლისაგან შესდგება: ა) პირველ ხარისხის პირველ-დაწყებით სკოლის ტიპი და აგრედვე კავშირი პირველ და მეორე ხარისხის სკოლებს შორის; ბ) სააღმზრდელო-სასწავლო რიგი ამ სკოლებში, სამოსწავლო გეგმები და პროგრამები; გ) სწავლის მეთოდები და მასწავლებლების მომზადება. კრებასთან მიაწყობილი იქნება სამოსწავლო ნივთებისა და მოწაფეთა ხელსაქმის გამოფენა. ყველა ეს იმის მაჩვენებელია, რომ კრებაზე უმთავრესი ყურადღება სკოლის შინაგანს ცხოვრებას ექნება მიქცეული. პირველ-დაწყებითი სკოლების მასწავლებლების გარდა, კრებაში მონაწილეობის მიღება შეუძლიან იმ პირთ, რომელთაც საორგანიზაციო კომიტეტი მიიწვევს. ვისაც მონაწილეობის მიღება სურს, განცხადება პეტერბურგის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას უნდა გაუგზავნოს (თეატრალური მისახვევი № 5), თანაც საწევრო გადასახადი სამი მანეთი უნდა გაუგზავნოს.

**დათხოვნილ სტუდენტების უნივერსიტეტში დაბრუნება.**

სახალხო განათლების სამინისტრომ დაასრულა არეულობის დროს დათხოვნილ სტუდენტების სია, რომელნიც უკანვე იქნებიან მიღებულნი უნივერსიტეტში. ამ სიაში მოხვდა სულ 129 სტუდენტი, დანარჩენებს კი არ მიიღებენ, რადგანაც პოლიციის დეპარტამენტისაგან მათ შესახებ ცუდი ცნობები მიიღეს. უნივერსიტეტიდან განდევნილთა შუამდგომლობა, რომ ისინი ექსტერნებად მიეშვათ სახელმწიფო ეგზამენების დასაჭერად, არ იქმნა შეწყნარებული.

# დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

23 აგვისტო.

უცხოეთი.

**ჰააგა.** საპარლამენტთაშორისო კონფერენციამ ბარტოლდის წინადადება მიიღო, რომლითაც მთავრობებს ურჩევს მიიღოს პირობების სისტემა ბრიანის სამედიატორო სასამართლოს გარჩევაში. ეს პირობები შეტანილია საერთაშორისო სასამართლოს წარმოებათა მოქმედების გეგმაში. შემდეგ კონფერენციამ ბელგიის წარმომადგენლის წინადადება მიიღო, რომლითაც მოუწოდებენ ნეიტრალურ სახელმწიფოებს სესხის ბაზარი დაუხურონ მეომარ მხარეებს. მიღებულ იქმნა გერმანიის წარმომადგენლის წინადადება, რომ მთელ ქვეყნიერობაზე დამყარებულ იქმნას 20 გრამის სიმძიმის წერილზე 10 სანტიმი.

**ვენა.** სიონისტების კონგრესის დღევანდელი კრება, სამინისტროს პრეზიდენტად ნამყოფ ვოლფზონის სიტყვის დროს, რამდენჯერმე იქნა შეწყვეტილი აურ-ზაურით, რადგან ვოლფზონი ეხლანდელ პრეზიდიუმს კრიტიკას უკეთებდა. კრება ბოლოს შესწყდა. კამათის გაგრძელება ხვალისათვის გადაიდო.

**ტოკიო.** ნანკინში სამი იაპონელის მოკვლამ საზოგადოებრივი აზრი ძლიერ ააღელვა. პრესა იმ აზრს გამოსთქვამს, რომ საჭიროა ენერგიული ზომები, ჩინეთის ზოგიერთი ნაწილების ოკუპაციამდე. ნანკინში კრეისერ „ჩიოდას" დესანტი გადმოსხეს. იქით გაჰგზავნეს საადმირალო გემი.

**თეირანი.** შეადგინეს 250 ჟანდარმასაგან შემდგარი რაზმი. რაზმს 2 შვედი აფიცერი მეთაურობს. რაზმი კერმანისაკენ მიემგზავრება გზის დასაცავად.

**ტოკიო.** ნანკინში იაპონელების დახოცვის გამო მიტინგი გაიმართა, რომელსაც რამდენიმე ათასი კაცი დაესწრო. მიტინგმა რეზოლიუცია გამოიტანა, რომლითაც მოითხოვს ჩინეთის წინააღმდეგ დაუყოვნებლივ ზომების მიღებას. „ნიპპონის" ცნობით უმთავრესმა შტაბმა საჩქაროდ მოახდინა საიდუმლო განკარგულება ნაგოისა, ხიმიისა და სიკოკის დივიზიებს.

იაპონიის მთავრობამ მოიწონა ვაშინგტონის ელჩის მიერ შემუშავებული შეთანხმების გეგმა, რომლითაც შეერთებულ შტატებში იაპონელებს მიწის მოუსავლობა უზრუნველეყოთ.

**პეკინი.** თხოვნის გამო სამსახურიდან დაითხოვეს შინაგან საქმეთა, საფინანსო, იუსტიციისა, მიწათ-მოქმედებისა და გზათა მინისტრები.

**მუკდენი.** დღუდუმ კორეის ბანკთან ხელი მოაწერა მილიონის სესხის შესახებ, სამი წლის ვადით.

**ბელგრადი.** ცნობამ იმის შესახებ, რომ სერბია-ბულგარეთის შორის განსაზღვრა არ მოხდა, დიდი უსიამოვნება გამოიწვია ყველა წრეში. იმედი აქვთ, რომ დავა უბრალო დათმობით დასრულდება.

**ბუდაპესტი.** ჰუნგრეთის გაზეთები აღნიშნავენ, რომ მონარქიის ეკონომიური მდგომარეობა ძლიერ ცუდია, ამის გამო პროტესტებს აცხადებენ ბულგარეთის სესხის შესახებ მთავრობის თანხმობის წინააღმდეგ.

გაზეთ „აზესტ"-ს გასტეინადან აცნობებენ, რომ ოთხი დღის წინედ სასეირნოდ წასული სერბიის მიტროპოლიტი კარდოვიცაში—ბოგდანოვიჩი უკვალოდ დაიკარგაო.

**ვენა.** „ცეიტი" იტყობინება, რომ ბერტჰოლდმა ჰუნგრეთის მთავრობას ნოტით მიმართა ბულგარეთის სესხის შესახებ. იგი ურჩევს ფინანსთა სამინისტრის, გავლენა იქონიოს მსხვილ ბანკებზე, რათა სესხს ხელი შეუწყონ. მინისტრთა საბჭომ გადასწყვიტა ფინანსთა მინისტრს დაავალოს ბანკებთან მოლაპარაკების გამართვა.

**ჰააგა.** სამშვიდობო კონფერენციის უკანასკნელ კრებაზე გამოითქვა წინახდელ კონფერენციების სურვილი, რომ მთავრობამ დაუყოვნებლივ დაამზადოს ნიადაგი მესამე სამშვიდობო კონფერენციისათვის. შემდეგი კონფერენცია სტოკჰოლმში მოხდება.

კონფერენციამ ცენტრალურ კომისიის განსახილველად გადასცა მიუნხის წინადადება, რომ გამოცხადებული იქნეს საუკუნო ნეიტრალიტეტი; აგრედვე ჰოლანდიის მეძარჯვენეთა ჯგუფისა—ნეიტრალიტეტის მოვალეობისა.

**მანჩესტერი.** ცეცხლმა შთანთქა ბამბისა, ზეთისა და ქონის საწყობები. ზარალი 2,500,000 მან. აღემატება.

**დუბლინი.** 40 მრეწველმა გადასწყვიტა მუშათა კავშირის წინააღმდეგ ლოკაუტი გამოაცხადონ.

**ვაშინგტონი.** ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ხუერტამ მთავრობას განუცხადა, რომ პრეზიდენტად კანდიდატურას არ წამოაყენებო.

**ბერლინი.** პროკურატურამ „კრუპ ბრანდტის" ქარხნის ბიუროს დირექტორისა და ფირმის ორი დირექტორის წინააღმდეგ საქმე აღძრა. მათ ბრალდებათ სახაზინო მოხელეების მოსყიდვა, რათა იგინი აეძულებინათ სამხედრო საიდუმლოების გაცემა. საქმე ბერლინში გაირჩევა ოქტომბრის ბოლოში.

**მიულჰაუზენი.** დეგერლოხის უფროსმა მასწავლებელმა ვაგნერმა, სიგიჟის დროს, თავის ბინას ცეცხლი წაუკიდა. როდესაც ვაგნერს დაპატიმრება მოუნდომეს, მან რვა კაცი მოჰკლა და 10 დასჭრა. შემდეგ საჯინიბოში შევარდა, სადაც მას ისე მძიმედ სცემეს, რომ მორჩენის იმედი აღარ აქვთ. გამოირკვა, რომ მიულჰაუზენში წარსულ წელს მან ცოლი და შვილები დაჰკლა.

რუსეთი.

**პეტერბურგი.** ბერის ინოკენტის შესახებ სინოდმა დაადგინა; ინოკენტი, რომელსაც 6 თვის დაპატიმრება ჰქონდა მისჯილი, სოლოვეცკის მონასტერში გაჰგზავნოს, მღვდელ-მსახურება აღუკრძალოს, სანამ ახალი განკარგულება არ იქნება მოხდენილი.

განკარგულება გამოიცა, რომ 500 მანეთიან ქაღალდის ფულის მაგიერ 1913 წლის 1 [illegible]-რიდან ახალი ნიმუშის ქაღალდის ფული გამოვა.

სახელმწიფო ბანკმა [illegible]ის კანტორებსა და განყოფილებებს აცნობა, რომ მოსავლის განაღდების სწორ მიმდინარეობის ხელის შე[illegible]ყობად 1913 წელს სასურველად არის ცნობილი; 1) კრედიტის გაიაფება: ამისთვის იმ ვალიდან, რომელიც ხორბლის გირავნობით გაიცემა, აიღებენ ¹/₂% ყველა კატეგორიის შუამავლისაგან, აგრედვე მოისპობა ½ და ¼% გადასახადი. 2) საქმის წარმოების დაჩქარება, სააგენტოების გახსნა შუამავლობის რიცხვის გამრავლება, წვრილი კრედიტებისათვის განსაკუთრებულ კრედიტის გახსნა, კერძო საკრედიტო დაწესებულებათათვის კრედიტის გაფართოება და სხვა.

**პეტერბურგი.** ადესის, ნიკოლაევის, დონის-როსტოკის გუბერნიები და იზმაილოვის მაზრა ხოლერის მხრივ საშიშარ ადგილებად სცნეს.

იმპერატორმა ნება დართო კიევს მოახდინოს 6,196000 მან. საობლიგაციო სესხი.

მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში შესატანად კანონ-პროექტი, რომლითაც 51600 მან. გადაიდება ევროპას რუსეთში გადასასახლებელ ნაწილების მოსაწყობად, აგრედვე ახალ ალექსანდრიაში სასოფლო სამეურნეო ინსტიტუტში შტატების შესაცვლელად და მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო მამულების შტატის გადიდებისათვის.

ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ გაზეთებში გავრცელებული ხმები, ვითომ 1914 წელს შემოსავალი ნახევარ მილიარდი იქნება გადიდებული და ხარჯი ¼-ით, სიმართლეს მოკლებულია, რადგან მუშაობა ხარჯთაღრიცხვის უმთავრესი მუხლების შესახებ ჯერ არ დასრულებულაო.

**პეტერბურგი.** ცნობების მიმცემი ბიურო გაზეთის ცნობების წინააღმდეგ იტყობინება, რომ საუწყებათაშორისო თათბირი, რომელიც იხილავდა საკითხს სახაზინო ნავთის მიწების ექსპლუატაციის შესახებ, თანაგრძნობით ძიებს იმ აზრს, რომ საცდელად მოწყობილი იქნეს ხაზინის მიერ ნავთის მრეწველობა: საკითხი მინისტრის საბჭოში იქნება განხილული, რადგან ზემოაღნიშნული მოსაზრებანი საკანონმდებლო რიგით ოც აგვისტომდე უნდა გაირჩეს.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭომ დაადგინა გააუქმოს გაძლიერებულ დაცვის წესები კიშინევში, ალექსანდროვისა და კოვროვის მაზრებში ვლადიმირ. გუბერნ., მოსკოვ—ნიჟნი-ნოვგოროდისა და მურომის გზებზე ვორონეჟის, კურსკის, სარატოვის, ჩერნიგოვის, ვარშავის, ლიუბლინის, სედლეცის გუბერნიებში, გროდნის გუბერ. ბელასტოკის მაზრაში, ყაზანში მის მიდამო სოფლებში, ლიფლიანდიის გუბ. დორპატისა და რიგის მაზრებში, კიევის მაზრაში გარდა კიევისა, პერმის გუბერნიის ვერხოტურის, ეკატერინბურგის, კრასნოუფიმსკის, ოხანსკის, პერმის, სოლიკამის მაზრებში და კუნგურში, სამარაში, ხარკოვის გუბერნიაში გარდა ხარკოვისა და ვაინის მაზრისა ძარიინის ოლქში, ტომსკის გუბერნიაში გარდა ტომსკისა, ნიკოლაევსკში, ომსკის, [illegible]ოპავლოვის და კოკჩეტოვის მ[illegible]ში, აკმოლინის ოლქში, და [illegible] და უკ[illegible]ბინის ოლქების ნაწი[illegible] ვიტებში, კირენსკის ოლქში, [illegible]ტსკის გუბერნიაში და სხვა ად[illegible]ებში, რომელნიც მოხსენებულ[illegible]იან 1912 წ. 29/8 ბრძანებაში თურ[illegible]სტანის საგენერალ-გუბერნატო[illegible]ს რამდენიმე ნაწილში გაძლიერებული დაცვის წესები გაგრძელებული იქნება რამოდენიმე ხნით. მინისტრთა საბჭომ მოიწონა სათათბიროში შესატანად კანონ-პროექტი კერძო თანხის გამცემ დაწესებულებათა მეთვალყურეობისა, საკრედიტო კანცელარიის თანხის გაძლიერებისა, წესი უძრავ ქონებათა გაყიდვისა, რომელნიც გძელ-ვადიან სესხის მიმცემ დაწესებულებებშია დაგირავებული და საერობო და არა-საერობო გადასახადთა გადახდევინების წესი.

**მინსკი.** მაზრის პოლიციის უფროსისაგან სამართალში არიან მიცემული „ბირჟევია ვედომოსტის", „ვე-

ჩერნაია გაზეტასი“ და „გოლოს ზელონსტოკას“ რედაქტორები, რომელთაც მოათავსეს ცნობა, ვითომც კრეზონისათვის ექიმნოთ მაძებარ პოლიციაში.

**ნიკოლაევი.** აღმოაჩინეს ხოლერით ავადმყოფი, რომელიც ხერსონიდან მოვიდა.

**ხერსონი.** ორი ხოლერით ავადმყოფი აღმოაჩინეს.

**გროზნი.** ნავთის მრეწველ ქარხნების მუშებმა მუშაობა განაახლეს. სამრეწველოებში კი გაფიცვა გრძელდება.

## ღია ბარათი

უგულითადეს მადლობას ვსწირავ ყველა იმ პირთ, ვინც თანაუგრძნო ჩემს მწუხარებას ჩემი დის გარდაცვალება-დაკრძალვაზე.

**ი. გრიშაშვილი.**

## შემოწირულება

ქ. შ. წ.-კ. გამავრცელებელმა საზოგადოებამ ქართული მუზეუმისთვის მიიღო:

1. დიანოზ მქედლიშვილისაგან (ნ. ვ. ნადირაშვილის ხელით) ქვაბის დასაკიდი ჯაჭვი, მიწაში ნაპოვნი, გატეხილი ტყის ხვნის დროს სოფელ შრომაში, ძველს ერეთში, ლაგოდახის ახლოს.
2. ანნა ავალიშვილმა—სამი შავი ფული.
3. ეკატერინე ერმილეს ასულმა ავალიშვილმა—ხელნაწერი პატარა წიგნაკი-კალენდარი.
4. დავით სოფრომის ძე ნათიშვილმა—100 ცალი „Обитель св. Давида“, და 100 ც. „памяти Цицiанова“.
5. ნაფიცმა ვექილმა (პეტერბურგიდან) დიმიტრი ზაქარიას ძე ჭიაბრიშვილმა—ორი სურათი, ჩარჩოებში ჩასმული, ვახტანგ VI და ირაკლი II.

საზოგადოების გამგეობა შემომწირველთ უღრმეს მადლობას უცხადებს.

## ჩვენი ფოსტა

**კავკავი.** ბარონს. „ცელქი გოგონა“ უკვე იყო დაბეჭდილი ჩვენი გაზეთის „დამატება“-ში.

**რედაქტორ-გამომცემელი ა. ჯუღბაძე**


# განცხადებანი

**გონორრეის (სუსუნატის) წინააღმდეგ უახლესი საშუალება:**
**„SALO—პირილინ“.**
სწრაფად და არსებითად მოქმედებს და, ექიმთა აზრით, გონივრულ საშუალებად ითვლება. დარიგება კოლოფში ძევს. ნამდვილი მხოლოდ ლითონის კოლოფებითა და **ღირს 1 მ. და 1 მ. 80 კ.**
**აგრეთვე კარგად მოქმედებს შეტად გართულებულ და დაძველებულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.**
დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსდოდებით. გასაგზანი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება სააფთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების სავაჭროში.
Метцль 22238. 1038

## ქ. შ. წ.-კ. გამავრ. საზ. წიგნის მაღაზიაში იყიდება
**შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| აკაკის საიუბილეო კრებული | 25 კ |
| ასული ისრაელისა, ა. ფურც. | 30 ,, |
| ბრძოლა ანუ გ სააკაძე და მისი დრო | 1 მ. |
| დუტუ მეგრელი ტ. 1, | 70 ,, |
| ,, ,, ტ. 2-ე, | 70 ,, |
| ეკატერინე ბატონიშვილი, ხუსკივ ძ. | 5 ,, |
| ვისი ბრალია? დ. ერისთ. | 20 ,, |
| ვარინკას ამბავი, | 15 ,, |
| ბურჯი ეროვნებისა, ი. გოგებაშვ. | 20 ,, |
| თავადი იერონიმე, მგალ. | 10 ,, |
| თხზულებანი ხუსკივაძისა, | 30 ,, |
| თავდადებულნი ქართველნი | 7 ,, |
| ია ეკალაძე. მოთხრობები | 1 მ. |
| იავნანამ რა ჰქმნა? ი. გოგებ. | 5 ,, |
| კახეთის ამბოხება, ი ფრონელი, | 60 ,, |
| ლევან ბატონიშვილი, ხუსკ. | 10 ,, |
| მეჯღანუაშვილი, არდაზ. | 50 ,, |
| მთიულეთი, ა. ფრონელი, | 40 ,, |
| დილარიანი, ლარიძისა, | 2 მ. |
| მაცი ხვიტია, ა ფურც. | 50 ,, |
| მოლიპულ გზაზე, | 1 მ. 50 ,, |
| მთიული სოსე | 40 ,, |
| მეფე ერეკლე და ინგილო ქალი. | 5 ,, |
| Методическое руководство къ препод. русск. языка | 40 ,, |
| რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური ნაწერები ი. გოგებ. | 1 მ. |
| რანი ვიყავით გუშინ, მისივე | 20 ,, |
| საარაკო თავგადასავალი ტახტის მემკვიდრისა, მისივე | 10 ,, |
| ქიტესა, ა. ფურც | 15 ,, |
| ქართ. მეფე გლეხის ქოხში, ი. გოგ. | 5 ,, |
| ჩემი თავგადასავალი, აკაკი, | 1 მ. |
| ჩვენებური საქმის ბოლო, ა ფურც. | 20 ,, |
| ცხოვრება და სიყვარული, | 40 ,, |
| წვრილი მოთხრობები სვ.ყიფ. | 50 ,, |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 121.

**საუკეთესო საკვები ცხენებისათვის და საქონლისათვის**

# „პატოკსან“.

„პატოკსან“ შეიცავს 42% შაქარს (სრულიად რუსეთის შაქრის მრეწველთა ლაბორატორიის ანალიზი № 647.
„პატოკსან“ საუკეთესო საშუალებაა საქონლის ღონის შერჩენისათვის და შემატებისათვის (მოხსენება ექ. იოტეიკოსი ლიეჟის შაქრის მრეწველთა კონგრესზე.
„პატოკსან“ ხელს უწყობს საქონელს და ცხენებს საჭმლის მონელებაში, რაც თავის რიგად ეხმარება შრომის უნარისა და სიცოცხლის უნარის შემატებას.
„პატოკსან“ ხელ უწყობს რომ რძის მომცემ საქონელს რძე გაუუმჯობესოს და დღიური ნაწველიც გაადიდოს.
„პატოკსან“ ფხვნილია და ამიტომ შეიძლება ადვილად გადაურიოთ ქერში და სხვა საჭმელში.
„პატოკსან“ თავის ნოყიერების გამო ძალიან მარგებელია და ეკონომიური საჭმელი.
ვინც მოისურვებს გაეგზავნება ერთი ფუთი 1 მ. 20 კ. გაგზავნის ფასს ვიხდით ჩვენ გაგზავნის დროს. ყოველგვარ ცნობა და მომხმარებლების აზრი უფასოდ იგზავნება ამიერ-კავკასიისათვის.
ერთად-ერთი წარმომადგენელი ამიერ-კავკასიისთვის **„გეორგი რუსინოვ და ამხ.“** ტფილისში, ვერის დაღმართი № 12, ტელეფონი 11—37 და 11—77. დეპეშით მისამართი: „რუსინოვს—ტფილისი“. 1384.

# ექიმ ნავასარდიანის
## პირველი კერძო სამკურნალო
(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**
**დ ი ლ ი თ:**
**„606“ და „914“**
**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ბეგახართვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი, საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **თ. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.
**კ დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით ც 7 საათამდე.
**ს ა ღ ა მ ო თ ი:**
**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.
რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი მედიცინისდოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** 1004

**ექიმი ა. შ. მიძელაძე** 15 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე—მიხაილოვის პროსპექტი № 117 ტელეფონი 816.

# საბურთალოზე
**მშვენიერ ალაგას**
ახლად აშენებულ ეკლესიისა და ციდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1220

**მშრომელ ხალხის საყურადღებოდ**
**იყიდება** მ ცხრე საპოლიციო უბანში პროტესტანტების საფლაოს გადაღმა (პოდგორნი ქუჩაზე, № 11, სამოვოლნი ქუჩიდან მეხუთე სახლი), მიწა და საგანგებოდ აშენებული ქვითკირის სახლი, ხუთი ოთახი ფართო ეზოთი, ახლო წყალია მიწა შეიცავს 70 კვად. საჟენს, სენთიანი ყველაფრითა. ძალიან ხელში აწვდომ ფასში. დაწვრილებითი ცნობები შეიძლება გაიგოთ ზუბალაშვილის სახალხო სახლის პირდაპირ; კიროჩნი ქუჩა, სახლი № 9. იკითხეთ პარიკ-მახერი **მენთეშაშვილი.** ბანკის ვალი აქვს 1000 მ.

უფლებიანი **სავაჭრო სკოლა** უფლებიანი
და **საბუჰგალტერო კურსები**
**ივანე ზაქ. ტერ-სტეფანოვისა.**
მისაღები და დამატებითი გამოცდა **28 და 31 აგვისტოს.** მისაღებთა რიცხვი განსაზღვრულია (ერთ კლასში არა უმეტეს 24 შეგირდისა). მეცადინეობის დასაწყისი სკოლაში 24 სექტემბერს, კურსებზე 16 სექტემბერს. **მიხეილის პროს. № 53.** 562

ОБЩЕСТВО **ГРАММОФОНЪ** съ ОГР. ОТВ.
ВЪ ЛОНДОНѢ.
# მიღებულია
## ახალი ფირფიტები
ცნობილ მომღერალთა სიმღერებით, როგორც მაგალითად:
**ბაგრატისა, გეგორგ შულავერელისა, ისლამ აბდულაევისა, მეჯიდასი, ჰამიტ კურბანოვისა და სხ.**
ახალი ამბავი! **მგოსანი აკაკი გრამოფონში** ახალი ამბავი!
ყველა ჩვენ ფირფიტას აქვს ყველგან ცნობილი ნიშანი:
**„მწერავი ამური“.**
ფირფიტათა სია უფასოდ.
ОТДѢЛЕНІЕ ДЛЯ КАВКАЗА и ЗАКАСПІЙСКАГО КРАЯ
ТИФЛИСЪ,
Головинскій пр., 9,
ПРОТИВЪ ВОЕННАГО СОБОРА. 1432




1078

**ს ო რ ა პ ა ნ ი ს გ ა მ ო ც ე მ ა**
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდად, მეოთხე ახალი გამოცემა, სახელმძღვანელო წიგნი, ნაწილი პირველი.
## „ქართველი მწერლები“
შედგენილი ივ. გომელაურის იერ. **ფასი 80 კაპ.**
ამ წიგნის მეორე გამოცემა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველის საბჭოს დადგენილებით სასწავლებლებში სახმარებლად ნება-დართულია.
იყიდება აგრეთვე ამავე ავტორის მეორე ნაწილი სახელმძღვანელო წიგნი **„ქართველი მწერლები“** ფ. 1 მან. 30 კაპ.
პარტიობით მყიდველებს შეუძლიანთ მოითხოვონ შემდეგი მისამართით: Тифлисъ Типографія „Сорапань“, ანუ ქართველთა შორის წერა-კ თხვის გამავრცელებელ საზ. წიგნი მაღაზიას ქ. ტფილისში. 1417

**ოქროს მედალი** **ოქროს მედალი**
Золотая медаль. Золотая медаль.




# შ პ ა ლ ი ე რ ი
## მოსკოვის საქარხნო საწყობისა
GRAHD-PRIX **ვლადიმერ ალპატოვისა**
ო. მ. უნანიანცის გამგეობით გოლოვინის პროსპ. № 23, სახ არამიანცისა ტელ. № 14—29. ფასები საქარხნოა 8 კ. და უფრო ძვირიც. ალბომები პირველ მოთხოვნისათანავე გამოიგზავნება უფასოდ. 1393

# მუდამ ღღე მოგვდის
თევზის მრეწველნი
**მმ. მეგველოვები.**
**პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.**
**ტელეფონი № 712.**
ახალ-ახალი
მტკვრისა თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი.
**ახალი მსხვილ-მარცვლოვანი ხიზილალა** ქილ ქ.
აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები,** სხვა ყოველ-ნაირი **თ ე ვ ზ ე უ ლ ო ბ ა** და **კონსერვები.**

სავაჭრო და სამრეწველო სამინისტროს განკარგულებით ...
# ბუჰგალტერიის პრაქტიკული კურსები
## ი. თ. პალატნიკოვისა.
თხოვნების მიღება და მსმ ნელთა ჩაწერვა ყოველ დღე დილის 10 ს. საღ. 8 ს.-დე. **მეცადინეობა დაიწყება 15 ენკენისთვ დან.** კურსები იძლევიან საფუძვლიან და სრულ ცოდნას, ამზადებს საკანტორო-ბუღჰალტერიისა და კორესპ ნ. სამუშაოდ. კურსებზე შესული საფუძვლიანად სწავლობს: 1) ა) ბუღჰალტ. ჩვეულებ და ორნაირს: იტალ., ფრანგ., გერმან., ამერიკ. და ახალ რუსულ (ყველა სისტემით პრაქტიკულ სამუშაო), ბ) თვლა-ანგარიში: საზოგ, სავაჭრ., ბანკ., ქარხ., სასოფლო-სამეურ., 2 კომერც. ანგარ., 3) ვაჭრობის უფლება, 4) ვექსილის უფლება, 5) კომერციულ კორესპ., 6) ანგარ ჩოთქზე, 7) კალიგრაფია, 8) მუშაობ. შესწ. საწერ მანქანაზე, 3) რუსული ენა, 10) ანგარიში, 10) **უცხო ენები.** ფრანგ. და გერმან.. 12) საკომერც. კორესპ. უცხო ენებზე. **რუსული ენა ანგარიში და საწერ მანქანებზე ბეჭდვის სწავლება უფასოა მსმენელთათვის.** მიმდინარე წელს კურსებზე სწავლობდა 182 კაცი, აქედან 3 საბუღჰალტ. ჯგუფში იყო 144. მასწავლებლებად არიან მოწვეულნი უმაღლესი განათლებით. სპეციალ. კურსების წესდება და პროგრამა უფასოა. 1430

**საბუღალტრო კურსები**
# გ. და მ. ტერ-დავიდიანცისა
ნიკოლაევის ქ., 36, ვორონცოვის ძეგლის ახლო. მიღება 4—7 საათ. საღამოთი. 1416

# საბუჰგალტერიო და საკანცელარიო ცოდნათა კ უ რ ს ე ბ ი
**არსებული ტფილისის პირველ საკომერციო სასწავლებელთან ორივე სქესისათვის** (მე-XIV წ. არს. შემ.).
კურსებზე ასწავლიან: ბუჰგალტერიას ორმაგ იტალიურ სისტემით, მრეწველობის სხვა და სხვა ნაწილის შესაფერისად; კომერციულ კორესპონდენციას, სავაჭრო უფლებას, კალიგრაფისა და მსურველთ საბეჭდ მანქანებზე ბეჭვდას, **სწავლა დაიწყება 16 სექტემბერს 1913 წ.** სწავლა გაგრძელდება არა ნაკლებ ექვსი თვისა. მეცადინეობა კვირაში სამჯერ იქნება, საღამოობით. **სწავლის ფასი სულ 40 მან.** თხოვნები ტფილისის საკომერციო სასწავლებლის დირექტორის სახელზედ მიიღება სასწავლებლის კანცელარიაში დილის 10 ს.—1 საათამდე. 1420

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი **პირველი**
# საბუჰგალტრო კურსები
## ნ. ვ. აბრაამიანისა
(დაარსებულია 1895 წ.)
„სავაჭრო ბუჰგალტერიის სახელმძღვანელოს“ და სხვა სპეციალ. სახელმძღვანელოების ავტორისა.
ორივე სქესისათვის. რადგანაც მეცადინეობა ყოველ დღე იქნება კურსებზე **სწავლა 4 თვე გარძელდება.**
მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს 1913 წ. კურსებზე სავალდებულოდ სწავლობენ: მრეწველობის ყველა დარგის ბუჰგალტერიას, ნავთის მრეწველობასთან და ნავთის ქარხნებთან დაკავშირებით, სხვა და სხვა მეთოდით, მაგრამ სპეციალურად იტალიური ორმაგი სისტემით; კომერციული ანგარიში; კომერციული კორესპონდენციას; ვექსილისა და ვაჭრობის უფლებას—პოლიტიკური ეკონომია; ანგარიშს ჩოტებზე და კალიგრაფიას. არა სავალდებულოდ: უცხო ენებს, სტენოგრაფიას და საბეჭდავ მანქანით ბეჭვდას. მასწავლებლები—თავიანთ საგნების სპეციალისტები არიან, უმაღლესი განათლებით პრაქტიკულად და თეორიულად მომზადებულნი.
**ატტესტატები** სამინისტროს ნებართვით სუსტად მომზადებულთათვის კურსებთან დაარსებულია დამატებითი მოსამზადებელი კლასები: რუსულ ენისათვის და ანგარიშისათვის.
კურსების პროგრამა და წესი მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველთ ყოველ დროს. თხოვნები მიიღება ყოველ დღე დილის 9—11 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.
კურსები აწვდის სავაჭრო დაწესებულებებს თეორიულად და პრაქტიკულად მომზადებულ ბუჰგალტრებს, თანაშემწეებს, კორესპონდენტებს და კანტორის სხვა და სხვა საქმის მცოდნე მოსამსახურეებს კურსების თავმდებობით. კურსებზე უსწავლია 2.000 კაცზე მეტს.
პირადად ან წერილობით მიჰმართეთ კურსების დამაარსებელს ტფილისში: ნიკოლოზის ქუჩა, 22, ს. ს. ტელეფონი 744. 1433.

**ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი**
# საკომერციო ცოდნათა კურსები
## ც. მ. ფილოსიანისა,
ტფილისი, მიხეილის პროსპექტი, სახლი № 24—4, ტელეფ. № 976.
**სპეციალური საკომერციო განათლება ვაჟებისა და ქალებისათვის, კურსის დამთავრების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.**
პრაქტიკული მეცადინეობა ისეა მოწყობილი, როგორც Pitman-ის სასწავლებელში (ლონდონში) და Pigi-ის (პარიზში), Muster comtoir-ში. მასალები რეალურ ცხოვრებიდან აიღება:
**საგნები:** ა) სავალდებ.: 1) ბუჰგალტერია (უბრალო, იტალიური, გერმანული, ფრანგული, ამერიკული, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო); 2) კომერციული არითმეტიკა. 3) პოლიტიკური-ეკონომია, 4) კანონები (სავაჭრო უფლება, სავექსილო წესდება. 5) კომერციული კორესპონდენცია. 6) არითმეტიკა ჩოთქზე. 7) კალიგრაფია, სწორი წერა, ხელის გასწორება. ბ) სავალდებულო: 1) **უცხო ენები.** 2) სტენოგრაფია. 3) დაქტილოგრაფია (რემინგტონი და სხვა) და 4) კომერციული კორესპონდენცია უცხო ენებზე.
მეცადინეობა შეიძლება აგრეთვე თითოეულად. თხოვნები მიიღება 10—12 ს., დილით და 4—7 ს. საღამ. მეცადინეობა დაიწყება **15 ენკენისთვიდან.** პროგრამები და წესები მიეცემათ და გაეგზავნებათ მსურველებს უფასოდ კურსების სადგომიდან. კურსები კარგ მოწაფეთათვის მეცადინეობენ სავაჭრო სახლებში ადგილის საშოვნელად. მიმდინარე წელს სულ 284 მსმენელი იყო, ამათგან 53 ქალი. 1424

# ცინკოგრაფია
წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა კისრულობს ყოველგვარ **კლიშეების დამზადებას.**
საქმეს ასრულებს დროზე სუფთად და ხელმისაწვდომ ფასად.
ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12.
1009

# თ. ა. მთავრიშვილის
## წ ი გ ნ ი ს მ ა ღ ა ზ ი ა
ამით აუწყებს პატივცემულ საზოგადოებას, რომ ამა წლის 1913—1914 სასწავლო წლისათვის დამზადებული აქვს დიდ-ძალი
**სახელმძღვანელო და სხვა წიგნები,**
რომელნიც კი იხმარება ქალაქ ქუთაისისა და ქუთაისის გუბერნიის დაბალსა და საშუალო სასწავლებელში. **ფასები საკმაოდ დაკლებულია.**
მსურველთ შეუძლიანთ წიგნებთან ერთად მოითხოვონ ჩვენგან სხვა სასწავლო ნივთებიც: **რვეულები, კალმები, კალმისტარები, კარანდაშები, საანგარიშო დავთრები** და სხვა, რასაც ძალიან დაკლებულ ფასად დაუყოვნებლივ მივაწვდით ბ-ნ **გოკიელის** საკანცელარიო მაღაზიიდან: **ადრესი:** ქუთაისი. ალექსანდრეს ქუჩა, ბოკერიას სახლი, ბულვართან, **თ. მთავრიშვილი.** 1413


მუხრანის ქუჩა, სტამბა „შრომა“.